№ 18

ოთხშაბათი, 24 იანვარი 1896

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 0 | 5 | 5 | 50 |
| 01 | 8 | 5 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 2 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 18

ოთხშაბათი, 24 იანვარი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ქვრივი **კოსტანტინე ივანეს ძის გარგარეთელისა ოლღა იოთამის ასული**, დანი განსვენებულისა ნინო ივანეს ასული მდივნისა და ეკატირინე ივანეს ასული ლოლაძისა, აგრეთვე ცოლის დანი ევდოქსია იოთამის ასული კვალიაშვილისა და ალათი იოთამის ასული ჩერქეზიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის საყვარელის მეუღლისა, მეორეთ ძმისა ხოლო მესამეთ სიძისა, გარდაცვალებულის **კოსტანტინე ივანეს ძის გარგარეთელის** წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 25 ამ იანვარს სოფელ ერთო-წმიდას. (გორის მაზრა) აუწყებენ რა ამას, სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კეთილ ინებონ და მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად. (1—1)

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს 24 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

**გ. ვ. გედევანოვის**

საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

**ფიგაროს ქორწილი**

ანუ

**გიჟმაჟიანი დღე**

კომედია 5 მოქმედებად თარგმანი ს. ჭრელაშვილის მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

პარასკევს, 26 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი მ. მ. საფაროვისა

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

კვირას, 28 იანვარს,

„ტფილისის კრუჟოკის“ შენობაში ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად დანიშნულია საცეკვაო კოსტუმებიანი

**საღამო**

ქალებს შეუძლიანთ კოსტუმებითა და ჩვეულებრივ საღამოს კაბებითაც იყვნენ. საღამოს ბილეთი 2 მან. და 10 კაპ. ღირს. ბილეთების მიღება შეიძლება საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგთან კნ. ა. ა. ამილახვართანა (ძველი ინსტიტუტის ქუჩა, სახლი ტერ-ასატუროვისა) და საზოგადოების მდივანთან ს. მ. ხალათოვთან) ლაბორატორის ქ., საკუთარი სახლი). (2—6—1).

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოჰმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36

**ღვინის დაყენება**

პროფესორის ვას. პეტრიაშვილისა

ფასი 2 მან. 50 კაპ.

ისყიდება ამხანაგობის მაღაზიაში ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

## ახალი ამბავი

—

*** დრამატიულ საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებისთვის კონცერტის მაგიერ, რომლის გამართვა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო არ მოხერხდა, გაიმართება ბალი, დიასახლისად იქნება ერეკლე ბატონიშვილის ქვრივი თამარი. ბალი 1 თებერვლისთვის არის დანიშნული.

*** „ჩ. ვ.“-ს სიტყვით წასრულ ორშაბათს ბათუმის ქალაქის საბჭოს უნდა განეხილა საყურადღებო მოხსენებანი ქალაქის მოურავის ლ. ნ. ასათიანისა, სახელდობრ: ლომბარდის დაარსების შესახებ, ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ და სხვა.

*** დასავლეთ საქართველოდამ მოსულნი გვიამბობენ, რომ იქ საშინელი ზამთარია თურმე. ბევრგან დიდი თოვლი სძევს და ყინვაც არის.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს განუზრახავს დაარსოს ყველა უწყებათა მოხელეთათვის საეკონომიო საზოგადოება.

*** დიდის თოვლებისა და ზვავების გამო რამდენსამე ადგილას საქართველოს სამხედრო გზაზე, რუსეთის ფოსტა არ მოგვსვლია გუშინ. გზა ძალიან არის წამხდარი.

*** ტფილისსა და ბათუმს შუა მიმოსვლა მხოლოდ ყვირილასა და რიონამდეა შესაძლებელი, რადგანაც გზა ჯერ ვერ გაუწმენდიათ. ამიტომ მატარებლები გუშინაც შუა გზაზედ იყვნენ გაჩერებულნი.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს შეუტყვია, კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქს განზრახვა თურმე აქვს ნავთლუღში ფოსტის განყოფილება გახსნას ამ მოკლე ხანში.

*** მოვაგონებთ გაზ. „ივერიის“ მკითხველთ, რომ დღეს, 24 იანვარს, ქართული წარმოდგენაა დანიშნული ბ-ნის გედევანოვის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა „ფიგაროს ქორწილი“ კომედია ხუთ მოქმედებად, სტ. ჭრელაშვილის თარგმანი.

*** 14 იანვარს მოსკოვში ქართული საღამო იყო გამართული. საღამო შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან: საკონცერტო განყოფილებისა და ბალისაგან. მეტად საინტერესო იყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ არტისტნი ქალნი: ქ-ნი ზარუდნაია და სოკოლოვა-ჩრელიხ, სკრიპკაზე დამკვრელნი დანი პროკოპოვიჩნი, ბარიტონი მოსკოვის რუსულ ოპერისა ბ-ნი პინიადოზი და სხ., რომელთაც ჰხელმძღვანელობდა ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი. კონცერტის შემდეგ ცეკვა

## ფელეტონი

### სკოლა და ბანკი.

შემდეგი *)

III

ხსენება სხვა რამე საქმისათვის ბანკის შერდგენისა, არცა ყოფილა და არც გავიდოდა მაშინდელს კრებებზედ. ღარიბ ღატაკი თავადი და აზნაური, რომელთაც უღელი ხარი არა ჰყავდათ შინ, რომ ერთი ორი დღის მიწა მოეხნათ და ამით თავისი ცოლ-შვილი შეენახათ, უკანასკნელს გროშსა სწირავდნენ, რომ ეგება ჩვენს შვილებს სწავლა ეღირსოთ და ამით მაინც შესძლონ თავის რჩენაო. ამათ ამ დროს სხვა არავითარი აზრი და განზრახვა არა ჰქონიათ. მაგრამ რა დაემართა ბანკს?

შესდგა ბანკი. მოგვიმართა ღმერთმა ხელი და ეს უცნობი ქართველთათვის საქმე წავიდა ისე, როგორც არავინ არ მოელოდა. მაგრამ რა დაემართა ბანკის მოგებას, რომელიც ბანკის დამფუძნებელთა და თვით მთავრობის აზრითაც უნდა მოჰხმარებოდა ამ დამფუძნებელთა შვილთა აღზრდას?

თუ იქ, სკოლაზედ გაიმართა შეუბრალებელი წამება და ჯიჯგნაწეწვა, აქ ბანკსაც გამოუჩნდნენ მისი მოგების მჯიჯგნავ-მწეწავნი და ბოლოს ხომ შემოესია შეთქმულობა და არამც თუ მოგებას, თვით ბანკსაც სტაცეს ხელი და როგორც იქ სკოლას, აქ კიდევ უარესათ ბანკს უწყეს ნგრევა, სწვდნენ თვით მის საძირკველსაც, წაუშინეს წერაქვი და სადაც დაუხვდათ უტეხი კლდე, უწყეს მიცემა ნაღმისა, იმ ნაღმისა, რომელსაც ჰხმარობდა შჩედრინის კრეპრშეცულსკი. შეუძლებს თუ არა ბანკი ამ მენაღმეთა, რა ვიცი. მაგრამ მინამ ეს მენაღმენი თავისას გაიტანენ, ბანკის მოგებას დაემართა თავისა, წავიდა სხვა გზაზედ, რომელიც ბანკის პირველს დამფუძნემბლებს აზრათაც არ მოსვლიათ. გაჩნდა აქაც შკოლასავით პროექტები სივრცესო და ქიმერების გარე მყოფთა პირთა ჩ ამ საცოდავი ჩვენი სამი მანათით რა არ განვიზრახეთ, რა საქმეს არ შევებით, რა არ დავაყენეთ სწავლა-განაოლებაზედ მაღლა: თეიტრი, სასოფლო ბანკები, მილდიუმი, ფილოკსერა, კალია, ხოლერა, რკინის გზა ყინულებზედ, ხიდები ხეხმელასა და სახეთქელაზედ; ასე გასინჯეთ ხიზნების უმამულოთ გაშვებაც და ამ საქმეში ბანკის ფულების ხარჯვაც-კი სწავლა განათლებაზედ მაღლა დავაყენეთ, და სხვა ათასი ამგვარები. ისხდნენ ჩვენი ორატორები თითო თვეობით ჩუბინჩინებში და ზეპირობდნენ, როგორ დაემტკიცებინათ ჩვენი კრებებისათვის, რომ თუ არ ჩვენი ფულით კალიას ვერავინ მოსპობდა, ფილოკსერა შეგვჭამდა, მილდიუმი გამოგვხრამდა, ყინულზედ რკინის გზას ჩვენს მეტი ვერავინ გამართავდა, ხიზნების გასახიზნავად ფულს არავინ დახარჯავდა და სხვა ამგვარები. გამოდიოდა თვითო ჩვენი მეჩუბეჩუნე ორატორი შემდგომ რამდენისამე თვის კორანტინისა, იცემდა გულში მუშტებს, ჰღვრიდა მდუღარე ცრემლს და შეჰყვიროდა მწარე გოდებით, რომ თავი ყოვლისა სწავლისა, მეცნიერებისა, წარმატებისა არის „ბუტიაობა“ და ნუ-თუ ამ ზნეთა და გონებათა განსავითარებელი ღვაწლისა სცენაზედ დასადგმელად არ უნდა მივცეთ ჩვენი ყოველი ქონება?!. „მივცეთ!“ გაიძახოდა ჩვენი გულჩვილი და პატრიოტიკის მოყვარე საზოგადოებაც, და ეძლეოდა „ბუტიაობას“, „კინტოს“, „გეო, მინას და კომპანიას“, «ბნელს ოთახში», „და სხვა ამგვართა, წარსამატებლად და წასახალისებლად ჩვენის უკანასაკნელი გროშები, რომელნიც შესწირეს ჩვენმა მამებმა ჩვენი სწავლა-განათლების საქმეს. გამოვიდოდა ახლა სხვა მეჩუბუჩუნე და შესძახოდა: ბატონებო! მილდიუმი, შეგვჭამს ჩვენა! რას მიქვიან სწავლა-განათლება, თუ მილდიუმი ამოაგდებს ჩვენს ვენახებს. უპატრონოთ ჩვენს თავს, მივსცეთ მილდიუმს და ფილოქსერას ფული!! „მივცეთ!“ გავაძახოდით ჩვენც, თვალებზედ ცრემლ მორეულნი მეჩუბეჩუნეთა ცხარე სიტყვითაგან. „რის სწავლა, რის განათლება!“ შესძახოდა ახლა სხვა ორატორი: „ჯერ ქონება და მერე გონება! სადაც არ არის ქონება, იქ არ არის სწავლა: მივცეთ სასოფლო ბანკებს, ყინულზედ რკინის გზას, ხიზნების დასატყვევებლად ფული!“ „მივცეთ!“ გაიძახოდა ჩვენი ეკონომიას შეუჩვეველი საზოგადოება, და აცლიდა ამავე დროს თავის შვილთ უკანასკნელს სახსარს სწავლისას. და სხვა და სხვა და სხვა.

და ამგვარად ჩვენ გავმართეთ ჰილიმილი ბანკის ფულებისა და მარტო ის არა ჰსარგებლობდა ჩვენი საზოგადოების გულჩვილობით, აუწონრობით, ვისაც ან არა ჰქონდა ამისი თავი ან ებრალებოდა ჩვენი საბოლოვო საქმე, ან ჯერ არ გაეგო, რომ ბანკის ფულებისა ყურთა-გლეჯა იყო გამართული. ჩვენმა ესრედ წოდებულმა ექსტროორდინარმა კაპიტალმა ხომ ჩვენი საზოგადოება აქცია მათხოვრად. გახადა მათხოვრად თვით ისრეთი პირები, რომელნიც წელიწადში თვითო თავისგნით გამართულს ბალზედ მეტსა ჰხარჯამენ, ვიდრემ ჩვენს ბანკს მთელი წლის განმავლობაში შეუდგება ექსტროორდინარნი კაპიტალი.

ყველა აქედამ წარმოსდგა ის, რომ ჩვენი ბანკი სრულიადაც ვერ ეხწია იმ წადილს, რა წადილითაც ის იყო აგებული ჩვენთა მამათაგან, რა აზრითაც ჰქადაგებდა მის აგებას მამა ამ ბანკისა — დიმიტრი ყიფიანი.

ამგვარად ერთმხრივ წეწვა-გლეჯა ჩვენი სკოლისა, მეორეს მხრივ წეწვა-გლეჯა ჩვენი ბანკისა გახდნენ მიზეზნი, რომ ჩვენ, თუ მთელმა ერმა არა, მთელი ერის მაღალმა წოდებამ მაინც, ვერ მოვახერხეთ აქამდის რიგიანად მოწყობა, რიგიანს ფეხზედ დაყენება იმ ერთათ ერთი სასწავლებლისა, რომელიც იკისრა ჩვენმა საზოგადოებამ, მთელმა თავად-აზნაურობამ, მთელმა ბანკმა.

IV

რა იყო, რამ მოგვაჯადოვა, რამ დაგვიხშო გონება, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობელნი, გუშინ ჩვენი ხელს შემაყურალნი, ათასობით ჰმართავენ სასწავლებლებს, აყენებენ ფეხზედ, — ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ ერთათ-ერთ სასწავლებლის მოვლაცა?! აი, სწორეთ ეს გამოცანა არის ის გულის საკლავი გარემოება, რომელიც აბრკოლებჩ ჩვენს ყოველს საქმესა. ეს ჯადო, ეს თილისმა არის ჩვენი გაუნათლებლობა, ჩვენი უვიცობა, ჩვენი უსწავლელობა, ჩვენი მეტიჩარობა, მეტიჩარათა აყოლა, მეტიჩარათა წინამძღვრად გახდომა, უპრინციპო კაცთა საქმისა ხელში ჩაგდება.

აი, სწორედ ამ გარემოების მოვლისთვის ჰზრუნავდა ყიფიანი, ამასა სწირავდნენ ჩვენი მამები თვის უკანასკნელს გროშებს.

ჯერ ქონება, მერე სწავლაო! ჯერ „ბუტიაობა“, მერე სწავლაო! ჯერ ქვევრები მერე სწავლაო! ჯერ კასსები, მერე სწავლაო! ჯერ გაზეთი, მერე სწავლაო!

განა, ჩვენ რომ საკმაო კონტინგენტი ნამდვილთა სწავლულთა და განათლებულთა გვყოლოდა, გავიგონებდით ამას და ავყვებოდით ამგვართა უგუნურთა ფეხის ხმას?!

*) იხ. „ივერია“ № 17.

იყო გამართული; ქართველებმა ლეკურიც ითამაშეს.

## კორესპონდენცია.

**ფოთი:** ჩვენ, ფოთელებს, არ შეგვიძლიან გავუძლოთ იმ სენს, როგორიც არის დედა-ენის უარ-ყოფა. მკითხველს შეჭველად ახსოვს, რომ არა ერთხელ ყოფილა ფოთის საქალაქო წარმომადგენელთაგან აღძრული შუამდგომლობა, ვისთანაც ჯერ არს, ქართული ენის შემოღების შესახებ ფოთის საქალაქო სასწავლებელში. ამ საგულისხმო და საჭირ-ბოროტო საგნის შესახებ საჭიროა იცოდეს მკითხველმა, თუ რა რიგ ეპყრობა ამ საგანს ფოთის საქალაქო გამგეობა.

1894 წელს, 2 დეკემბერს, ფოთის ქალაქის საბჭომ, მორიგ კრების დროს მოისმინა განცხადება ხმოსან ლ. ურუაშვილისა, შესახებ ქართულის ენის შემოღებისა ფოთის საქალაქო სასწავლებელში. პატივცემულმა ხმოსანმა აღიარა, რომ ხსენებულ სასწავლებელში, სადაც უმეტესი ნაწილი მოსწავლეებისა სულ ქართველობაა, თავისს „დედა-ენას“ მოკლებულნი არიანო. დასასრულ განმარტა და დაასაბუთა თავისი აზრი, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედა-ენას ადამიანის ცხოვრებაში, რომლის შემწეობით ითვისებს ყოველსავე ქვეყნიურს, რაც შემდეგ მისს ბუნებას ესისხლ-ხორცება, ზნედ და ჩვეულებად ექცევა ხოლმეო. ამ საგულისხმო და საპატიო წინადადებას საბჭო ერთხმად დაეთანხმა და შემდეგი დაადგინა: «მიეცეს ქართულის ენის მასწავლებელს წლიური ჯამაგირი 360 მან. ქალაქის თანხიდამ და მივანდოთ ქალაქის გამგეობას აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს“.

თანახმად საბჭოს გარდაწყვეტილებისა, ქალაქის მოურავმა აღძრა შუამდგომლობა ჯერ გუბერნატორთან და მერე მზრუნველთან, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმედი გაგვიმტყუნდა და ნებართვის ნაცვლად უარი მივიღეთ. წარსულს, ჩვეულებრივ მორიგ კრების დროს საბჭომ განიხილა სხვათა შორის დადგინება საგუბერნიო საქალაქო საკრებულოსი ქართულ ენის შესახებ. ამ საყურადღებო საგანმა მრავალი მსმენელი მიიზიდა. კრების დროს წაკითხულ იქმნა საბჭოს დადგინების პასუხი, სადაც მოხსენებული იყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის აზრი იმის შესახებ: „რომ საბჭოს არა აქვს ნება იკამათოს ისეთს საგნების შესახებ, რომელიც სწავლა-განათლებას შეეხება და მათი დადგენილება მე-63 მუხლის ძალით საქალაქო წესდებულებისამებრ უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო“.

ოქმის წაკითხვის შემდეგ საბჭომ იმავე კრებაზედ გარდასწყვიტა მიეცეს ნება ქალაქის მოურავს ხსენებული საგნის შესახებ განაგრძოს საჩივარი ვისთანაც ჯერ არს.

როგორც ამბობენ („ივერია“ № 100) 1893 წ. 8 მაისს აქ ყოფილა კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, რომელსაც საქალაქო სასწავლებლის დათვალიერების შემდეგ, მიუღია დეპუტაცია ქალაქის წარმომადგენელთა. დეპუტაციას უთხოვნია ბ-ნის მზრუნველისათვის, „ქართული ენა ასწავლონ ამ სკოლაში ჩვენს შვილებს, რომელთაც ვაჭრობაში და აღებ-მიცემაში ძლიერ „სჭირდებათო. იმედი გვაქვს ამდენი ხნის ცდა უქმად არ ჩაგვივლის და გზას არავინ ჩაგვითვარცხავს.

ი. კოხრეიძე.

1896 წ. 17 იანვარი.

## ქალაქის საბჭო.

22 იანვრის სხდომა.

ამ დღეს დაესწრო 48 ხმოსანი. წინა სხდომის ოქმი რომ წაიკითხეს, ხმოსანმა თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა შეჰნიშნა, რომ ჩემი სიტყვები ისე არ არის ჩაწერილი წარსულის სხდომის ოქმშიო. მე ვსთქვი, რომ ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობა საპატიოთ გავხადოთ და მასთან უფასოცაო. ასეთი განაჩენი საბჭოს შეუძლია დაადგინოს, რადგან თვით კანონი არ ეწინააღმდეგება ამასაო. პირ-იქით, მე ვხედავ ამ საქმეში კანონის დარღვევას, რადგან ჩემი წინადადება არ იქმნა განხილულიო. ქალაქის მოურავმა ამის პასუხად თავ. არღუთინსკის უთხრა, რომ კანონის დარღვევას მე ვერ ვხედავ აქაო და, თუ ვნებავსთ, ეს თქვენი აზრი განიხილოს საბჭომ, შეგიძლიათ ამის შესახებ ქაღალდი წარმოადგინოთო.

მერე რამდენიმე საგანი იყო გარჩეული ამ სხდომაზედ, მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ შესახებ იმ მუშაობისა, რომელიც საჭიროა ეხლა ავჭალაში შენობებისა და არხის შესაკეთებლად, რომ მტკვარმა წყლის მილების მუშაობა არ მოსპოს.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რა დიდი ზარალი მისცა წარსულის წლის წყალდიდობამ ამ ადგილებს. 31 ოქტომბერს მტკვარმა იმდენი ადგილი მოჰგლიჯა ავჭალაში, რომ წყლის მილების სამუშაო ტურბინისათვის გამართული არხი გააფუჭა. ეხლა ისეა საქმე, რომ თუ ამ თავითვე არ გამაგრდა მტკვრის ნაპირები ზოგიერთ ადგილებს, სანამ ჯერ გაზაფხულის წყალ-დიდობას არ მოუმატნია, ადვილად შესაძლებელია ისეთი ზარალი მისცეს მტკვარმა წყლის მილის არხსაც და იქაურ შენობებსაც, რომ ქალაქში წყალი ვეჲ წამოვა. ქალაქის მოურავს მოუთხოვია ავჭალის წყლის მილების გამგესათვის ანგარიში იმ ხარჯისა, რომელიც საჭიროა ეხლა ქალაქმა გამოიღოს. მილების გამგებელს წარმოუდგენია სულ ცხრაას თუმნამდე (8.954 მან. 20 კაპ.) ქალაქის გამგეობამ ეს ანგარიში განიხილა და საჭიროდ სცნა ეხლავე წარუდგინოს საბჭოს, რომ საჭირო ფულის დახარჯვის ნება დართოს გამგეობას.

ამ მოხსენებასთან ერთად საბჭოს მოჰხსენდა ტეხნიკ-ხმოსანთა აზრი. ამათაც ერთხმად საჭიროდ დაუნახავთ ეხლავე მოხდეს მტკვრის ნაპირების შეკეთება, მხოლოდ ზოგი ხმოსანი იმ აზრისა იყო რომ ეხლავე მეორე მაშინა გაიმართოს ავჭალაში, ზოგიკი ამტკიცებდა არ არის საჭირო მეორე მაშინა, თუ ტურბინა იმუშავებს და ერთი მაშინაც იქნებაო.

ხმ. ა. ზიბოვი. ამტკიცებდა რომ წელიწადში 15 ათას მანეთამდე ხარჯი მოსდის ქალაქს ტურბინის არხის შესაკეთებლად და მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად და უკეთესი იქნება ერთხელვე გამოვიღოთ მეორე მაშინის გასამართავად ფული შვიდას თუმნამდე, რომ ქალაქს მუდამ ჰქონდეს წყალი, თორემ ეხლა ხშირად უწყლოდ რჩება მცხოვრებლები იმიტომ, რომ ტურბინა არ მუშაობს და ერთ მაშინას არ შეუძლია იმდენი იმუშაოს, რომ საკმარისი წყალი აძლიოს ქალაქის მილებსაო. თუ ისე მოხერხდება რომ ტურბინა იმუშავებს, იმ შემთხვევაში მაშინები გაჩერებული იქნება იმ დრომდე სანამ საჭიროება არ მოითხოვს, ე. ი. მზად გვექნება ორი მაშინა, თუ ტურბინები გაგვიჩერდება მტკვრის გადმოსვლის მიზეზითაო.

ამის შემდეგ ტეხნიკმა ბ-მა სამოილოვიჩმა, ავჭალაში წყლის მილების გამგემ, გადაუშალა საბჭოს გეგმაზედ დანიშნული ის ადგილები, რომელიც მტკვარს გაუფუჭებია და ამ ჟამად შესაკეთებელია.

ხმ. ბოლგარსკიმაკ, ინჟინერმა, გეგმა დაუხაზა დაფაზედ და ცხადათ დაუმტკიცა ხმოსანთ, რა შიში მოელის ავჭალის წყლის მილების სამუშაო ტურბინას, თუ მტკვარმა მოგვასწრო. სრული თანხმობა გამოაცხადა ბ-ნმა ბოლგარსკიმ იმისა, რომ ყოველივე, რაც აღნიშნულია გამგეობის მოხსენებაში და დასახელებულია ტეხნიკის ბ-ნ სამოილოვიჩის მიერ, დღესვე უნდა გაკეთდეს მაგრამ ერთი საჭიროებაც აღნიშნა ყველა ამასთან. არხის შეკეთებას და მტკვრის ნაპირების გამაგრებას დიდი დრო დასჭირდება, 45 დღე მაინცო და ვაი თუ, სანამ ამ დროს განმავლობაში შევაკეთებდეთ რაც საჭიროა, მოვარდეს მტკვარი და გაუთავებელი ნამუშავარიც გადაგვირეცხოს და ტურბინებიც ჩაგვიქვიშოს ისე, რომ ქალაქი უწყლოდ დარჩეს კიდევ, რადგან ერთი მაშინა ვერ იმუშავებს იმდენსო ამისათვის ბ-ნი ბოლგარსკი ამტკიცებდა, რაც სამუშაოა აღნიშნული გამგეობის დღევანდელს მოხსენებაში, იმას კიდევ მიემატოს ერთი: ეხლავე გააკეთონ ტურბინის არხში ორი პატარა

---

განა სადმე შემდგარა ქონება, სადაც სწავლა არა ყოფილა?! განა ფილოქსერას-კი არა. ან რწყილებს შემუსრავ თუ სწავლა არ მიგიძღვის წინა? ათასი წელიწადია ქვეყანა ლამის რწილმა შესჭამოს და ჯერაც არ ვიცით რომ ამისი წამალი უბრალო გვირილა ბალახი ყოფილა, რომელმაც ლამის ჩვენი მინდვრები ამოაგდოს, და ჩვენ-კი რწყილებსა ვეჭმევინებით. განა ან აკტიორი მოხერხდება უსწავლელი?! განა „ბუტიაობის“ წერა და სცენაზედ წარმოდგენა უმეცრებისა და უშვერების მიზეზი არ არის?! განა თეატრი შეიძლება, თუ ირ არის სწავლა?! განა გაზეთის წერას ცოდვნა არ უნდა?! განა ეყოლება გაზეთს წამკითხველი თუ კითხვა არავის ეცოდინება?!.... და სხვა ამგვარები.

მივეშველოთ ფილოქსერას, მილდიუმს, ხოლერას, კალიასაო! ვინ? ჩვენ?! ჩვენი საცოდაობით შეძენილი ხუთი გროშითა?! მთელი ქვეყნის მთავრობანი ასი და ათასი მილიონობით ჰხარჯავენ ამაებზედ და ვერა გაუწყვიათ-რა, და ჩვენ უნდა ჩვენი ერთი პირის ქარი შავი ფულით ვუშველოდ ამ საქმეში ქვეყანას!?. ეს არ გაგონებთ ერთს ზღაპარში იმ ქინქლაოტს ჩიტს, რომელიც, როდესაც ცამ დაიქუხა, გადაბრუნდა გულ-აღმა და ცას ფეხები მიუშვირა, თუ ვინიცობაა ჩამოინგრა, ცა შევიმაგროვო. ეს განა მასხარობა არ არის?!. განა ჩვენში, რომ საკმაო მომზადებულნი და სწავლულნი იყვნენ ამ დონკიხოტობამდის მივახწევდით, და ჩვენთა შვილთა გონების საზრდოს ხელიდამ გამოვაცლიდით?!.

დიახ, ყველა ეს ჩვენ გვაქნევინა ჩვენმა მოუმზადებლობამ, ჩვენმა უსწავლელობამ.

რატომ მოხდა, რომ სულ სხვასა ვხედავთ ჩვენს მეზობლებსა, ჩვენთან შემოხიზნულს ხალხში?

პატივცემული ი. თავის წერილში ჩემს პასუხად ჩარჩ-ბაცაცობაც ინდუსტრიააო? სწერს, რომ 95% ამ ხალხისა ჩარჩები არიანო.

არა, ბატონო! ჩარჩებს ამგვარად საქმის წაყვანა წყობისად, სისტემატიურად, აწონვით არ შეუძლიანთ, როგორც მიჰყავთ ამათ. რომ აგრე იყვეს, არც ჩვენ გაგვიხდებოდა მუშტზედ დასაფურწრებლად საქმე, არც საჩივლელად რომ ბატონებად გადაგვექცნენო, და ვერც თვითონ წავიდოდნენ შორს. მაგრამ აბა შებრძანდით თბილისის დუმაში და ქალაქის სამმართველოში და ჰნახეთ რა განათლების ცენზის პატრონები არიან აქაური წარმომადგენელნი ამ ჩვენი ათვალისწუნებული ხალხისა. შეადარეთ მოსკოვის დუმას, და ჰნახავთ, რომ ამ რუსეთის დედა-ქალაქის წარმომადგენელთ ბევრით დაჰკრავს განათლების ცენზით აქაური დუმა და სამმართველო, და იქნება არ ჩამოუვარდეს თვით პეტერბურღსაც, ამ რუსეთის თავ ქალაქს. შეადარეთ რაოდენი ტეხნიკი, ტეხნოლოგი, ინჟენერი, დოხტორი, იურისტი, არხიტექტორი და მრავალი სხვა მეცნიერების პროფესიის ხალხი ჰყავთ ამათ ჩვენსავე საქართველოში და რაოდენი ჩვენა. მთელს თბილისში ერთი ადვოკატი, ერთი არხიტექტორი, ერთი ინჟენერი არა გვყავს ქართლ-კახელთ. ორმოც-სამოცს ამ ხალხის დოხტორზედ სულ სამი სული ქართლ-კახელი დოხტორი არ მოიპოვება თბილისში და სხვა და სხვა. განა დოხტორი მამინოვი და მისი მსგავსნი გაჰბედავდნენ იმ კადნიერებას, რაც ჩვენ ვისმინეთ ამ დღეებში თბილისის საქიმო კრებაზედ, რომ არა ჰხედავდნენ სომხობაში ძალას და ჩვენში უძლურებას? გორელი სომეხი, რომელმაც სომხური ინჩი არ იცის და სომხისა პირჯვრის წერის მეტი არა შერჩენია-რა, დღეს სომხობს და სცდილობს ქართველები დაამციროს ქვეყნის თვალში და გვიკიჟინებს მეცნიერება რა თქვენი საქმეაო, რომ თქვენი ენაც არ იცითო. რატომ? და მიტომ, რომ ძალამ გადაჰხარა სხვა მხარეს. აბა გადაჰხაროს ჩვენკენ, და მაშინ თვითონ ესევე მამინოვი შესძახებს, რომ სომხებმა არ იციან სომხური, მეცნიერება რა იმათი საქმეა და ქართულს ენაზედ თვითვე იკისრებს სამეცნიერო ნაწილის რედაქტორობას. თვით ის სიჩუმე და კისრება ჩვენთა ნასწავლთა ექიმთაგან, რასაც სწამებდა მამინოვი, არ ამტკიცებს ჩვენს სისუსტეს და მოუმზადებლობას არამცთუ ქვეყნის სამსახურისათვის, და თვით თავისი საკუთარი თავმოყვარეობისა და ღირსების დასაცველად?!.

შეადარეთ ახლა რიცხვი და მდგომარეობა ამათი სასწავლებლებისა ჩვენს სასწავლებლებთან. ჯერ მარტო სოფლის სასწავლებლები იმდენი დამართეს, რომ ამ ოციოდე წელიწადს უწიგნო კაცი აღარ ეყოლებათ. სოფელი არ არის, სასწავლებელი არა ჰქონდეთ. ჩვენ? ჩვენ ერთად-ერთი კაცი, ერთად-ერთი ადმინისტრატორი, რომელიც ისე თავგამოდებით და თავდადებით დადიოდა სოფლიდამ სოფლად, ცხარე და ამასთან ტკბილი შემგონებელი სიტყვით უქადაგებდა გლეხთა შკოლების გახსნას და სწავლის მნიშვნელობას, რომელმანც ერთს უეზდში ერთი წლის განმავალობაში სამოცზედ მეტს საზოგადოებას შეარდგენინა განაჩენი შკოლების დარდგენისა, — ჩავიყვანეთ საფლავს, მოუწამლეთ იმედებით სავსე სიცოცხლე, ჩვენი უმეცრებით, ჩვენი არაწმინდა განზრახვით. ანგართა კაცთა აყოლით, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის გაყრყვნილებით. მის ნაცვლად რომ მას ჩვენი მწერლობა, ჩვენი ინტელიგენცია დაჰხმარებოდა, მიჰყოლოდა მხარ და მხარ, შეესხა ფრთები და წაეხალისებინა ამ დიდს საბოლოვო საქმეში, ჩვენმა ინტელიგენციამ, ჩვენმა მწერლობამ ათასი ცილით უცნაურების მოგონებაებით, რატომ შაქარი ჩვენა და ჩვენს მეგობრებს არ ჩაუდო პირშიაო, — მოვთხვარეთ მისი სახელი, გავავსეთ ცილებით იმაზედ არამცთუ აქაური გაზეთები, თვით რუსეთის უკეთესი ჟურნალ-გაზეთები, გავავსეთ ბეზღობით სასამართლოები და მთავრობის მოხელენი, გავსვარეთ, ავაგდეთ ჰლექათ და ჩავიყვანეთ საფლავს ჩავიყვანეთ საფლავს მასთან მისი დაწყობილი საქმეებიც...

ეს სასოფლო სასწავლებლები. ჰნახეთ ახლა, ვის უჭირავს ქალაქის სასწავლებლები. ჰნახეთ ჯერ მარტო თბილისის შუალა სასწავლებლები და გათვალეთ ქართველი რა ერთია, და სომეხი რა ერთი. აქ კიდევ უარესი სამწუხარო მოვლენა წარმოგიდგებათ თვალ-წინ. ჩვენს შუალა სასწავლებლებში სომხების შედარებით არ მოდის 10% ესე იგი ათს სომეხზედ არ მოდის ერთი ქართველი. ეს ქართველების დედა-ქალაქში. და რომ მთლად მოსწავლენი შევადაროთ მთელს კავკასიაში სომხობა ქართველებს, ქართველი არ მოვა 5%-ცა. და თუ მცხოვრებთა რიცხვით ვიანგარიშეთ, მაშინ 2%-ც არ მოდის სომხებთან შედარებით ქართველთა მოსწავლეთა. მთელი ბაქო, შუშა, ერევანი, განჯა, შურა, სადაც კი შუალა სასწავლებლებია სულ ამათ უჭირავთ ხელთა.

გადაავლეთ ახლა თვალი სხვასა, საქმის წარმოებათა. ვისია კომერციული ბანკი? ვისია ურთი-ერთთა ნდობის ბანკი? ვისია კრედიტნი ბანკი? ვისია ნავთის წყარონბი, ქარვასლები, კონკები? და სხვა ათასი ამგვარები. ვინ არიან ყველა ამ საქმეების მწარმოებელნი და შემნახველნი. მეტი წილი უმაღლესს სასწავლებელს დამთავრებულნი. ამათ აძლევს მხარს მრავალი ინტელიგენცია და ამათზედ არის დამყარებული ამ საქმეებისა მკვიდრათ დარდგენა. ეს განა ჩარჩები არიან? ჩვენ? ჩვენ დავარდგინეთ ერთად-ერთი ბანკი და აბა უგდეთ ყური, რაები არ უყავით, რომ ამასაც ბოლო მოეღოს. მარტო ერთი პუშკინის ბაღი და აკაკის რეჩები გორის მარშალს სულხანიშვილს, რათა ჰღირს! რათა ჰღირს ის ქაღალდები და წერილები, რომლებიც რდგებიან და იგზავნებიან ამ ბანკზედ... დავარდგინეთ ამ ორს დღეში მეორე ბანკი „ურთიერთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელი იმისათვის, რომ ვინიცობაა თუ მუშაობას ვერ გავათავებთ და მტკვარი მოვარდება, ტურბინებს მაინც გადავარჩენთ, თორემ მტკვარი სრულებით დაქვიშავს ამას და გაგვიფუჭდება სრულებით. მერე ტურბინები ისეთი ძალაა, რომელიც თითქმის მუქთად ემსახურება წყლის მილებსა და ამისთანა ძალა უნდა კარგად შევინახოთ, თორემ მარტო მაშინები თუ ვამუშავეთ, ძვირად დაგვიჯდებაო.

საბჭო დარწმუნდა, რომ საჭიროა გამგეობის მიერ წარმოდგენილის ხარჯის გაღება და მასთან ინჟენერ ბოლგარსკის შენიშვნაც მიიღეს მხედველობაში, მაგრამ ერთ ხანს იმაზედ ჩამოვარდა კამათობა, ახლავე გიმართოს მეორე მაშინა, თუ არა.

საბჭომ დაადგინა: გამგეობის მოხსენება შესახებ ცხრაასი თუმნის დახარჯვისა მტკვრის გასამაგრებლად ავჭალაში დამტკიცდეს; ხმ. ინჟენერ ბოლგარსკის შენიშვნაც სისრულეში მოიყვანოს. მეორე მაშინის შეძენაც საჭიროდ სცნო საბჭომ და ამის შესახებ გამგეობამ და ტეხნიკ-ხმოსნებმა თავის აზრი წარმოუდგინონ საბჭოს.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** ოსმალეთისა და რუსეთის კავშირის შესახებ აი რას ამბობს კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი ,,პოლ-მოლ-გაზეთი''-სა: ოსმალეთსა და რუსეთს შუა დაარსდა შეტევითი და მოგერებითი კავშირი. ხელშეკრულობას მოაწერეს აქ ხელი ხოლო დამტკიცებით-კი პეტერბურგში დაამტკიცეს რუსეთის მთავრობამ და ოსმალეთის ელჩმა არიფა ფაშამ. საფრანგეთის ელჩი კამბონი იყო სულთანთან და ორი საათი დარჩა. ეს იმის ნიშანია, რომ საფრანგეთსაც ჰსურს მიემხროს ახალს კავშირს: ამის შესახებ „სტანდარდი" აი რას ამბობს: გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში ვიკითხეთ, მაგრამ სრულიად არა იციან-რა ამ კავშირის შესახებ და არც არავითარს მნიშვნელობას აძლევენ ამას.

ამ ამბებმა ძალიან დააშინა ინგლისელები. ისინი ამბობენ, რომ თუ ეს მართალია ინგლისის პოლიტიკა დამარცხდება, მაგრამ მთელს ევროპასაც დიდი განსაცდელი მოელისო.

„ვესტმინისტერ გაზეთი" ამბობს, რომ არა გვგონია რუსეთმა ასეთი საქმე იკისროსო. ეს ხომ სრულს საბუთს მისცემს ინგლისს სამთა კავშირს მიემხროსო, და ეს-კი რუსეთისათვის კარგი არ იქნებაო.

„ინდეპანდანს ბელჟ"ი-კი იმ აზრის არის, რომ თუმც ოფიციალურად არა ვიცით რა ამ კავშირის შესახებ, მაგრამ შესაძლებელია რომ ოსმალეთსა და რუსეთს შორის რაიმე ამგვარი ხელშეკრულობა არსებობდესო. და თუ ეს ასეა, მაშინ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექმნება მთელის ევროპისთვისაო.

**საფრანგეთი.** ხომ მოგეხსენეთ, რომ საფრანგეთის ელჩი ვატიკანში უკანვე დაიბარა საფრანგეთის მთავრობამ. ეხლა ისმის რომ თვით ელჩს დაუნებებია თავი სამსახურისათვის, რადგან შეატყო, რომ ლეონ XIII საფრანგეთის შესახებ თავისი პოლიტიკის გამოცვლას აპირებსო. პაპს თურმე სურს თავისი აზრი წარმოსთქვას საფრანგეთის დამოკიდებულებაზედ ვატიკანთან. ამ აზრს იგი წარმოსთქვამს ეპისტოლეში, რომელსაც გამოაქვეყნებს ხლოდვიგის მონათვლის შემდეგ 1200 წ. შესრულების დღეს. თანაც პაპს სურს თურმე მისწეროს წერილი პრეზიდენტს ფორს და ეპისტოლეთი მიჰმართოს საფრანგეთის ხალხსაო. აქ მას სურს განუცხადოს თავისი უკმაყოფილება საფრანგეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ. რა თქმა უნდა ამას არ ექმნება კარგი შედეგი ვატიკანისა და საფრანგეთის დამოკიდებულებისათვის.

**ოსმალეთი.** გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა ადგენს ამ ჟამად რეფორმების ახალ პროექტს. სხვათა შორის განზრახულია: 1) დაარსება მილიციისა ოსმალთა და ქრისტიანთაგან. მილიციის უფროსებათ იქნებიან შვეიცარიისა და ბელგიის ოფიცრები, მაშასადამე ნეიტრალურ სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი. 2) დაარსება წარჩინებულ პირთა კრებებისა ყოველ ვილაიეტის უმთავრეს ქალაქში. 3) დაარსება სამხედრო სასამართლო პალატისა საქმის საჯარო წარმოებით და დასწრებით უცხო სახელმწიფოთა დელეგატებისა. პირველად ამ პალატამ უნდა გამოიძიოს და განიხილოს ახლანდელ უწესოებათა მიზეზები და შედეგი; დამნაშავენი, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, სასტიკად იქნებიან დასჯილნი. 4) შეღავათი მიეცემა ბეჭდვითი სიტყვას. 5) პროვინციებში დაარსებულ იქნება ბანკები მიწად მოქმედებისა და მრეწველობის გაძლიერებისთვის. 6) ის პროვინციები, რომელნიც უფრო დაზარალდენ უკანასკნელ უწესოებათა დროს, განთავისუფლებულ იქნებიან რამდენიმე წლით სახელმწიფო გარდასახადიდან.

**იტალია.** გაზეთი ,,იტალია მილიტარე'' ამბობს, რომ იტალია ამ ჟამად აბისინიასთან ომით იცავს თავის სახელს და მდგომარეობას ევროპაში და არა თავისს მდგომარეობას აფრიკაშიო. თუ იტალია აბისინიამ დაამარცხაო, მაშინ მას წაერთმევა პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოს სახელი ევროპაშიო. ამიტომაც არის, რომ იტალიის ერი ამ ჟამად ისეა აღშფოთებული, როგორც თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს. ვაი მთავრობის ბრალი, თუ ვერ გამოიჩინა საკმაო ენერგია, აბოლოვებს წერილს გაზეთი.

## ახალი აკადემიკოსი საფრანგეთში.

11 (23) იანვარს პარისის აკადემიის წევრად აღმორჩეულ იქმნა ცნობილი მწერალი კრიტიკოსი ანატოლ ფრანსი. (ლესეპსის მაგიერ).

ანატოლ ფრანსი ბავშვობისას დილიდამ საღამომდე თავისი მამის წიგნების მაღაზიაში იყო ხოლმე. მამა მისი ძველი წიგნების ვაჭარი იყო. მას ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა და რამდენიმე ხნის შემდეგ ძალიან განვითარდა, მრავალი საგანი შეისწავლა და თითქმის მეცნიერი იყო. მამის სიყვარული ლიტერატურისადმი შვილსაც გამოჰყვა. მან გაიცნო ძალიან კარგად ძველისა და ახალის დროის ხელოვნება. ძველის დროის ხელოვნების შესწავლის შედეგი იყო ის რომ საბერძნეთის ქანდაკებით აღტაცებული იყო და რაღაც სათაყვანებელ საგნად მიიჩინა იგი. ეს აღტაცება ყოველს მის ნაწარმოებში სჩანს. ჟიულ ლემეტრი აი რას ამბობს ანატოლ ფრანსის შესახებ თავისი ,,contemporains''-ის მეორე ტომში: „იგი დიდი მცოდნე კაცია, სიბრალულით აღსავსე იუმორისტია და ძველის ხელოვნებისა და მშვენიერების მაღმერთებელი''. უნდა ვსთქვათ რომ ანატოლ ფრანსს უფრო განათლებული საზოგადოება ეტანება და საზოგადოდ-კი არ მოსწონთ. მის შესანიშნავ ნაწარმოებთ შორის უნდა ჩაითვალოს მისი საკრიტიკო წერილები 4 ტომი (La vie litteraire) და მოთხრობები: Le Lys rouge, Le crime de Sylvestre Bonnard. Le livre de mon ami. Désirs de Jean Servien.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— განვაგრძობთ დაპირებულ ამბავს სულთანის ყოფა-ცხოვრებისას *)

თუმცა ეხლანდელმა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა ბევრი რამ ახალი მოახდინა, მაგრამ მაინც დღესაც მუქთა-მჭამელა ხალხი ბევრია სასახლეში. მარტო ამ მუქთა მჭამელა მოხელეთათვის სამას-ოთხასი მსახური და მონაა, რომელთაც ბალტაჯიებს ეძახიან. სულ ყველანი ერთად, ვინც-კი ჭიანჭველასავით ირევიან—სულთანის სასახლეში, ექვსი ათას, თუ რვა ათასს სულამდეა. ყველა ესენი იკვებებიან სულთანის ხარჯით. მარტო მზვარეულები და მათი თანა-შემწენი ოთხასი კაცია. ამათში ოსმალოს გარდა, ფრანგები და იტალიელებიც არიან უფროსებად. ჰარამხანაში ათას-ხუთასი ქალია, სულთანს არც ერთი ამათგანი ქებინით არა

*) იხ. „ივერია" № 17 ჟურნალ-გაზეთებიდამ ამოკრებილი ამბები.

---

მეურნეო სესხისა"—ამ ბანკის დაწესება ჯერ არცარა ვის-კი გაუგია და ჩვენ ეხლავე მივყავით ხელი, უტეხავთ სახელს, ვასხამთ შხამს, უთხრით ძირს, უდგევართ ეხლავე ლალტში, თვით გაურბით საქმეს და თვითვე უგონებთ ცილებს ათას სამარცხვინო და უსიფუძვლო ჭორებს; ეხლავე ბეჭდით გამოუცხადეთ ბრძოლა, ეხლავე უკარგავთ ქვეყნის თვალში ნდობას.

ეს განა ჩვენს მომზადებას ჩვენს სწავლას ამტკიცებს? გადაავლეთ თვალი ჩვეის დაწესებულებათა და ჰნახავთ, რომ ზოგჯერ კაცი ვერ გვიშოვნია ჩავაყენოთ საქმეში, კაცი ვერ გვიშოვნია ავირჩიოთ კომისიებში რამე საქმეების გასარჩევათ. და სხვა და სხვა.

თავის მშვენიერს წერილებში „მეოთხე რეხა» ჩვენი ნიჭიერი დამკვირვებელი ილია ალახაზიშვილი სწერს შემდეგს: ,,ევროპიელს შუქ-სინათლეს მოსდევს ერთი რამ ვეშაპი-დაუღრენია პირი და მარჯვნივ-მარცხნივ ლამის ყველაფერი შთანთქას. ამ ვეშაპს თურმე შვიდი თავი აქვს და თვითეულს თავს სახელად ევროპიელნი რაღაცა ,,იზმს'' ეძახიან: კაპიტალიზმიო, სოციალიზმიო, კომუნიზმიო, ანარხიზმიო და კიდევ ათასნაირი ,,იზმიო''. მოდის, მოჰქოხს ეს ვეშაპი და აგერ საცაა საქართველოშიაც შემოვარდებაო..." და ბოლოს კითხულობს რომ ჩვენ ამაების საბრძოლველად მზათ ვართო?

მეც ვკითხულობ: ვართ ამაებისთვის მზათ? გვყავს ამაებისთვის მომზადებული პირნი, რომ აეხსნათ ან აუხსნან ამაების მოვლენა და მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, ქვეყნის მომავალისათვის? ჩვენ მასხარათა და პამპულად არა გვყავნდნენ აგდებულნი ისინიც, ვინც-კი ჰბედავდნენ ამაებზედ ლაპარაკს და მითითებას?! ჩვენ არ ვაღვიარეთ ბეჭდვით: «რა გვედარვინ-ბოკლებაო!» ჩვენ არ გავხადეთ ღმერთათ კირკიტას სამუდრების მჩხრეკავები და არ ვაღვიარეთ სხვათა შორის ახალი ჟურნალი „მოამბის" ფურცლებზედ ბ. კ—ჯ—ის პირით, რომ თავი ყოვლისა სწავლისა და მეცნიერებისა არის საფლავთა შინა ცოცხლების ძებნაო?! რა იყო მიზეზი, რომ ჩვენი გაზეთები მის ნაცვლად რომ შესდგომოდნენ მომავლის ძიებას, ქვეყნის საჭირბოროტო საქმეებს, გადიქცნენ ჭორების გუდებათ და შიშით ღვთისწყალობა ველარავისთვის გეთქვა, რომ ,,დროების'' გაზეთში არ ჩაეგდეთ?! სხვათა შორის მახსოვს ერთი სამარცხვინო საქმე. ერთმა ფრიად პატიოსანმა და ჩვენი ქვეყნის მოყვარულმა უცხო ტომის ზემლემერმა ერთს ჩვენს სოფელში მეჟევანიის დროს იმდენი ფული შეაგროვა, სხვათა შორის თავისი ჯიბიდამაც, რომ შკოლა გაემართინა სოფელში. ერთს იქაურს მცხოვრებს უნდოდა შკოლისათვის მოეყიდნა თავისი ადგილი. ზემლემერმა ადგილიც მუქთათ მოუხერხა სოფელს. მამულის პატრონს, რომლისაც მამული არ აყიდვინა ზემლამერმა, სამწუხაროთ სცოდნოდა გზა ჩვენი გაზეთებისა და დაემუქრა ზემლამერს: ,,დაიცა ჯერ «დროებაში» ჩაგაგდოვო!'' და კიდეც ჩააგდო. არ გასულა ერთი კვირა, რომ ,,დროებაში'' ვკითხულობთ, როგორა გგონიათ, რაცა,რა დაუბეჭდა გაზეთმა ამ თავის კორესპონდენტს?.. ზემლემერმა პრაჩკა შეიყვარაო!.. განა რომ რისამე მომზადება და ზრუნვა გვქონოდა, გვცოდნოდა ღირსება და მნიშვნელობა გაზეთებისა, ბეჭდვითი სიტყვებისა, დაფასება ადამიანის ღირსებისა,—ჩვენ ამგვარს სამარცხვინო ამბავს გაზეთს გავასრვეინებდით?! და რომ ჩამოვთვალოთ, არამც-თუ ამგვართა ფაქტთა და ათასად უფრო სამარცხვინო ამბავია ამოვიკითხავთ ჩვენი გაზეთებიდამ.

დიახ, ჩვენ გვადგიან კარს, დაშვებულან ჩვენს თავზედ ათასი გალესილი მახვილნი, ათასი აწეწილი კითხვანი, ათასი საშიშარი და ზვავი გარემოებანი და ჩვენ?... ჩვენ. მთელმა ერთი გაზეთის რედაქციამ არ იცოდა, რა არის კონსოლიდიური სესხი. სოციალიზმი, კომუნიზმი გვეგონა რაღაცა მისნური უქმიკაცების მოგონილი სიტყვები. ვისხედით, ვიგონებდით ცილებს, ჭორებს ყველაზედ, ვინც და რაც არ გვაწვდის პირში შაქარს და არ გაიძახის შაქარი მარტიასო; უკმევთ საკმეველს ჩვენს გამყიდველებს, ჩვენი საშკილის-შვილო საქმების ბოლოს მომღებლებს, დავკარგეთ ყოველი მოქალაქობრივი გაბედულობა; შევუერთდით ქვეყნის ნაძირალთა და შევკარით მათთან კავშირი ჩვენი სამარცხვინო სურვილების შესასრულებლად; მოვაქციეთ საზოგადოების თავს კაცნი, რომელთაც მინამდის რიგიანი ადამიანი შესცქეროდა ზიზღით; უთხრით ძირს ყველა რიგიანს დაწყობილებას, ყველა რიგიანს საქმეს... რით ავხსნათ ის სამარცხვინო ცილები, რაცა ვრცელდება დღეს თუნდა იმგვარს საქმეზედ, როგორც ახალი ბანკი ,,მეურნეოა ურთიერთა მსესხებლობისა''?!. ჩვენი უშვერებით ჩვენი მოუმზადებლობით, ჩვენი უცოდნელობით, ჩვენი საბოლოვოს აუწონრობით, საბოლოვოსი პირადობაზედ გაცვლით...

V

მე ვთქვი, რომ ჯერაც კიდევ არ არის ჩვენი სკოლა მკვიდრს საფუძველზედ დაყენებული მეთქი... ჩვენ ისრე შევეჩვიეთ ამ სკოლის ჯიჯგვნა-გლეჯას, ასრე გაგვკვირვებია ის ხუთიოდე გროში, რასაც ბანკი იძლევა, რომ დარწმუნებული ვართ, ამ ხუთი გროშით მთელი ქვეყნის საქმეები გაკეთდებაო. ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ ამ ხუთი გროშით მილდიუმიც ვმუსრეთ, ფილოქსერაცა, ხოლერაცა, რკინის გზებიც ვაშენეთ, კასსებიცა ვმართეთ, კოტრებიც გადავაკოტრეთ, ღარიბნიც ვამდიდრეთ და სხვა ამისთანები და სკოლის საბოლოვოზედ, მისს სამკვიდრებელზედ არ ვიზრუნეთ არაფერი.

მაგრამ განა გამოცდილებამ და ხანთა განმავლობამ, როგორც ზემოთაც ითქვა, გვასწავლა რამე მაინცა. არა. პირიქით, ჩვენ იმის მაგიერად, რომ ახლა მაინც დავმდგარიყავით ერთს აზრზედ და გვეზრუნა სკოლის საბოლოვოსათვის,—ჩვენ გავუჩინეთ ამ სკოლას ისეთი მისი გულ-ღვიძლის მხვრელი ჭიაები, რომ არამც თუ საბოლოვოს არ შეარჩენენ, ამ საბოლოვოს ეხლავე გამოუხრავენ. ჩვენ გავუჩინეთ სკოლას სწორედ ის ფითრი, რომელიც ამოდის ხეზედ, სწოვს ხიდამ მისს მსაზრდოებელს წვენს, ახმობს ამითი ამ ხეს, ჰკლავს იმას და კვდება თვითონაც ამ ხესთან. რა გინდა არ გავუჩინეთ სკოლას ჩრჩილათ: ვინც-კი და საცაც-კი რამე სასწავლებელი გამართა, მოახვიეს ბანკს, განიზრახეს ქალების სასწავლებლის გამართვა მეოც-და-ხუთე საუკუნეში და მოახვიეს ბანკს; აპირებენ კიდევ სამეურნეო სასწავლებელს და ნიშნებიდამა სჩანს, რომ იმასაც მოახვევენ ბანკს. ასრე რომ ის ფული, რაც უნდა მოჰხმარებოდა ამ თავად-აზნაურთა ღარიბთა სასწავლებელს,—თუ ამას არა, სხვა ერთ-ერთს სასწავლებელს,—იბნეოდა და იბნევა აქეთ-იქით...

მაგრამ უფრო პირის ჩასაგემრიელებელი საქმე ამ შემთხვევაში ჩაიდინა ჩვენი სკოლის საზოგადოებამ და კომიტეტმა გორის მარშლისა და მისთა ჯინჯიბახთა წაცდენით.

გორის თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა, სთხოვოს ბანკს, რომ სკრის მამული დაუთმოს სკოლის საზოგადოებას სასოფლო სამეურნეო სკოლის გასამართავად. სკოლის კომიტეტმა და კრებამაც ითხოვა ესა და ბანკმაც სიამოვნებით დაუთმო. დაეთმო ეს მამული სკოლას, და სკოლის კომიტეტმაც წარუდგინა კრებას, რომ დაამტკიცონ სკოლა სკრაში. კრებამაც დაამტკიცა.

წარმოიდგინეთ, რა მომზადების პატრონები უნდა ვიყვნეთ, როდესაც ვთხოულობთ საჩუქრად იმ განძს, რომელიც მოგებაზედ ზარალს მეტს იძლევა. სკოლის კომიტეტი აპირებს იმ მამულში სკოლის გამართვას, სადაც გასავალი თითქმის ერთი-ორად მეტია შემოსავალ-

ჰყავს შერთული ცოლად. ამ ბედნიერებას არც ერთს მათგანს არ აღირსებს. ყველა ესენი სამს ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველ ჯგუფის ქალებს ჰქვიან „ყადინე“ ამ ჯგუფის ქალნი უფრო კანონიერ ცოლებად არიან მიღებულნი, თუმცა ქებინით არ არიან შეუღლებულნი. მეორე ჯგუფის ქალებს „იღბალი“ ჰქვიანთ, მითამდა სხვაზე უფრო იღბლიანიო. ამ „იღბლიანებიდამ“ არჩევენ ხოლმე „ყადინეებს“. მესამე ჯგუფს „ჰოიენდი“ ჰქვიან. ეს სახელი ჰნიშნავს „თვალთათვის სასიამოვნო ახალგაზდა ქალს“. თუ ბედი შესწევს, აქედამ შესაძლოა ქალი „იღბალის“ ჯგუფში გადვიდეს. ყველა ესენი უსათუოდ მხევალის ქალი-შვილები უნდა იყვნენ და უფროს ერთი მათგანი მოპარულნი და მოტაცებულნი არიან ან ჩერქეზებისაგან, ან ქართველთა დედ-მამისაგანაო, ამბობს ინგლისელი ავტორი, და ისეთის მალვით წამოყვანილნი, რომ ნათესავთა არ იცოდნენ სად არის და სად არა მათი ქალიო. თუ ღმერთი შეეწევათ და რომელიმე ქალი ჰარამხანაში დიდს ადგილს დაიჭერს, თავისს ნათესავებს ჰპოულობს და დიდს თანამდებობას რასმე ურიგებს სულთანთანაო.

ამ სახით ოსმალოს ფადიშაჰი უსათუოდ მხევალის შვილია ხოლმე. რა წამსაც იგი მხევალი დედად შეექმნება სულთანის შვილსა, ქალსა, თუ ვაჟსა, მაშინვე მიიღებს ხოლმე იმპერატორულ ტიტულს. რადგანაც კეთილმორწმუნე მუსლემინს მარტო ოთხი ცოლი უნდა ჰყვანდეს ოფიციაულად და არა მეტი, ამიტომაც სულთანს ოთხი „ყადინე“ ჰყავს—თვითვეულს მათგანს ცალკე ტიტული აქვს და ცალკე სახლი და მხლებელნი. ეხლანდელი „ბახ-ყადინე“ ანუ „თავი-ყადიმე“ და იმ ზაკირ-ფაშისა, რომელმაც სახელი გაითქვა სომხების მხეცურ ამოხოცვით სასუნში. მეორე „ყადინეს“ ჰქვიან „ქინჯი-ყადინე“ ესე იგი „მეორე ყადინე“ მესამეს—„არტანიე-“ყადინე“ ე. ი. „შუა-ყადინე“, მეოთხეს—„ქუჩუქ-ყადინე“, ე. ი. „პატარა-ყადინე“.

რადგანაც ამ ოთხსავ ყადინეს ერთნაირკარის-კაცობა და მხლებლობა ჰყავთ, მოსამსახურეებიდამ დაწყებული ცხენებამდე სულ ერთნაირად მოწყობილნი არიან და ერთი მეორეზე მეტი არაფრით არის, რა თქმა უნდა, სულთანის სასახლეში ერთი ვინმე იმისთანა უნდა იყოს, რომელსაც ის სახელი ჰქონდეს, როგორც ევროპაში აქვთ ხელმწიფეთა მეუღლეებს. ამისთანაა დედა გამეფებულ სულთანისა და ტიტულადა აქვს: „ვალიდე-სულთან“. თუ სულთანს დედა—ცოცხალი არა ჰყავს, სულთანის ძიძად აიჭერს ხოლმე ადგილს „ვალიდე-სულთანისას“. ეხლანდელი „ვალიდე სულთანი“ ძიძაა აბდულჰამიდისა. ძალიან ჭკუიანი და ნიჭიერი დედა-კაცი თურმეა. არ უნდა გვიკვირდეს—რომ ძიძას ამისთანა პატივი აქვს ოსმალეთში. ოსმალოსათვის ძიძაც ისე პატივ-ცემულია, როგორც ღვიძლი დედა.

ყველა ქალი ილდიზში, ასე ჰქვიან სულთანის სასახლეს, მოვალეა ემორჩილებოდეს ყოვლის უარის უთქმელად ვალიდე-სულთანს, რომლის ოფფიციალური ტიტულია: „ტატშ-ალ-მესტურანტ“, ესე იგი, „გვირგვინი თავ-დახურულთა“, რადგანაც მუსლემანთა ქალები თავ-დახურულნი და ჩადრწამოსხმულნი დადიან. ვინც სულთანი ყოფილა, იმათში მარტო ერთი აბდულ-მეჯიდი იყო იმისთანა, რომელსაც კანონიერი ცოლი ჰყოლია, ქებინით მოყვანილი. ამის ამბავს ასე მოგვითხრობს ავტორი. აბდულ-მეჯიდი ეგვიპტეში ყოფილა, იქ უნახავს ერთი მშვენიერი ქალი ბესმე-ხანუმ, რომელიც შვილად ჰყოლია აყვანილი ეგვიპტის პრინცესას. ძალიან მოსწონებია და არც უციებია, არც უცხელებია და მაშინვე უბძანებია პრინცესისათვის, ეგ ქალი მე დამითმეო. „არ შემიძლიანო, უპასუხნია პრინცესას: ქალს ერთი ოსმალოს აფიცერი ირთავსო და მისი დანიშნულიაო. თუ ეგრეა, მე თითონ შევირთავო, უთქვამს სულთანს და ქალი წამოუყვანია. გასაოცებლად მთელის სტამბოლისა აბდულ-მეჯიდმა საჯაროდ ქებინი გაიჭრა, კანონიერად შეირთო ეს უეცრად შეყვარებული ლამაზი ქალი. ერთი წელიწადიც არ გასულა მას მერმედ, რომ სულთანმა თავი დაანება ამ ქალს და მიათხოვა იგი ფაზილ ფაშას, რომელმაც მეოთხე ცოლად გაიხადა.

ჰარამხანაში დიდად მიჩნეულია „ჰასნადაუსტა“ ასე ეძახიან ხანში შესულს, ხშირად გონიერს დედა-კაცს, რომელსაც ჰარამხანის ქალების სამოსელი და სამკაული აბარია. იგი თანაშემწესავით არის ვალიდე-სულთანისა. ყოფილა შემთხვევა, რომ, როცა უკეთესნი არ ჰყოლიათ, ამისთანა დედა-კაცი გაეხადნოთ ვალიდე-სულთნად.

უწინ ჰარამხანაში დიდი და მდიდარი მორთვა-კაზმვა იცოდნენ და ჰარამხანის ქალები ძვირფასის ფარჩით, თვლებით და მარგალიტებით ირთვებოდნენ. ეხლა-კი ევროპიულად იცმენ ისიც უკანასკნელ პარისულ მოდაზე. დაახლოებულნი და მცოდნე კაცნი ამბობენ, ჰარამხანაში ქალები ძალიან მხიარულად და ბედნიერად ატარებენ დროსაო. ესეც საცოდნელია, რომ კარისქალთა ნება აქვთ კანონიერი ქმრები იყოლიონ და რადგანაც უფროს-ერთი ამათგანი ფაშები არიან და სულთანის კაის-მოხელენიც, ამიტომ იგინი ცოლშვილით თვით სულთანის სასახლეში სცხოვრობენ. ჰარამხანის ქალებს ბევრი თავისუფლობა აქვთ: ნება აქვთ ესტუმრონ ვისმე და თვითონაც ისტუმრონ, თავისი საკუთარი თეატრი აქვთ, ხშირად არის ხოლმე ოპერები და ბალეტი საკუთრად მათთვის.

რაც შეეხება სულთანს, იგი ძალიან სადაც სცხოვრობს და ბევრსა ჰსაქმობს. იგი იღვიძებს დილის ექვს საათზე და ჰსაქმობს შუადღემდე თავისს მდივნებთან ერთად. შუადღისას ჰსაუზმობს; მერე ეტლით, ანუ ნავით დასეირნობს. როცა დაბრუნდება, მაშინ ინახულებს ხოლმე ვისაც დანიშნული აქვს ნახვა. საღამოს 8 საათზე სადილს მიირთმევს, ხშირად მარტო და ხანდისხან ან ერთს და ან მეორე ელჩთან ერთად. საღამოობით ერთ-ერთს პატარა შვილს მოისვამს და ორნივ ერთად ფორტოპიანოს უკვრენ. თვითონ სულთანს ყოველთვის ევროპიულად აცვია და უფრო ხშირად ფრაკს იცვამს. ფრანგული ენა ზედ-მიწევნით იცის და ისე ჰლაპარაკობს როგორც ნამდვილი ფრანგი, მაგრამ მაინც უცხოელებს ელაპარაკება მოენის შემწეობით, რადგანაც სულთანმა მარტო ოსმალურად უნდა ილაპარაკოს, ესეა მიღებული.

ბოლოს ინგლისელი ავტორი ერთს უცნაურს ამბავს იუწყება. ბევრი ხანი არ არისო, რომ ფადი-შაჰმა მიიწვია სადილად ერთი უმაღლესის წოდების ქალიო. ეს პირველი მაგალითია თურმე, რომ ფადი-შაჰის სუფრაზე მიწვეულ იქმნა ქრისტიანე-ქალი. ქალმა შეამჩნია, რომ ერთს სკამზე თაგვების დასაჭერი პაწია ხაფანგია და გაკვირვებით დაუწყო სინჯვა. აბდულ-ჰამიდმა ეს შეჰნიშნა თურმე და უთხრა: „მშვენიერი რამ არის ეს თაგვების დასაჭერი ხაფანგი; ინგლისიდამ გამომიგზავნეს, და მაგით მე დღეს ჯერ ათი თაგვი დამიჭერიაო“. (ნ. ს.(

---

ზედ. გაიმართა იქ სკოლა. ვისი ხარჯით? მამულიდამ არა შემოდისრა. სხვა სახსარი შენახვისა არ არის. რა დარჩენილა? ბანკი! გამოვგლიჯეთ კიდევ გროშები ბანკს. ვის დააკლდა? იმავე ჩვენგნით და ჩვენთვის დარდგენილს სკოლას. ვინ ჰპარავს და ჰგლეჯავს სკოლას იმ ფულს, რომლითაც იმან უნდა შეინახოს ეს სკოლა? კომიტეტი, კრება, რომელთაც უკისრნიათ ამ სკოლის შენახვა, მაშასადამე, უკისრიათ ზრუნვაც, მისი მკვიდრად, მკვიდრს საფუძველზედ დაყენება. განა გოგოლის უნტერ-ოფიცერმა ამაზედ მეტი ჩაიდინა რამე?..

მაგრამ დავუგდოთ უარესს ყური.

ჩვენ გვიქადაგებდნენ და კრებაც ასდევდა ამ ქადაგებას: კლასსიკური სისტემა, მარტო ოთხი კლასსი, და არავითარი უფლებაო!

წარმოიდგინეთ, კლასსიკური სისტემა უუფლებაებოთ! უნდა შვიდი რვა წელიწადი იხეთქო თავი, ჩავარდე ჭლექად მკვდარი უხმარი და გამოუსადეგარი ენებისაგან და ბოლოს არც უფლება გქონდეს ცხოვრებაში გზის გაკვლევისა, უნდა წახვიდე სოფლად, დაუჯდე გუთანს და ოროველა შემოსძახო რვიდისა და გორაციოს ლექსებით და გუთნის დედას უთხრა რეჩები ციცერონის სიტყვებით ლათინურად...

რამ წაგვიცდინა ეხლაც? რა ბოლო მოსდევს ყველა ამას? წაგვიცდინა ჩვენმა მოუმზადებლობამ, რომელიც ხდება მიზეზი, რომ გავდევთ ყველა ფეხის ხმას, თუნდა ამათ არ გამოსდიოდეთ არაფერი ხელიდამ გარდა ქარიბერტყიაობისა და უკუღმართი მოსაზრებისა. ბოლო მოსდევს ის, რომ ჩვენ ვერც იმ შკოლას გავმართავთ, როგორც რიგი და საჭიროებაა ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოებისათვის, ვერც სხვებს, ვჯიჯგნით, ვჯიჯგნით, ვფლანგავთ ჩვენს უკანასკნელს გრომებს და გავათავებთ იმითი რომ ყველას ჩავაგდებთ ჭლექით და ტკბილს ალერსსა და ლოლიაობაში ამოვართმევთ სულს.

(დასასრული იქნება).

ანტ. ფურცელაძე.

---

## შეცდომის გასწორება.

ჩემი წერილი „სკოლა და ბანკი“, რომელიც იყო ფელეტონად დაბეჭდილი გუშინდელს „ივერიის“ №-ში, შენიშვნა არის დაბეჭდილი შეცდომით: სწერია:

„სამწუხაროდ, ყიფიანი ამ ხანებში და ყიფიანი მისი სიცოცხლის ბოლოს ხანებში სულ სხვა და სხვა იყო, თითქმის საცნობიც აღარ იყო.

უნდა იყვეს: სამწუხაროდ, ყიფიანი ამ ხანებში და ყიფიანი მისი სიცოცხლის ბოლოს ხანებში სულ სხვა-და-სხვა იყო ენერგიის მხრივ, ავტ.

---

## ტაიჭის ტაძარი.

აგვისტოს დამლევი იყო. მოვაყვანინე ცხენები და ხსენებულ ტაძრის სანახადად წავედით. ხიზაბავრიდამ ორს საათში ავედით ჰობარეთის ტყეში, რომლის მშვენიერებამა და მდებარეობამ სწორედ გამაკვირვა; აქ ნახავთ სხვა-და სხვა ძვირფას ხეებს—კაცრებს, არყის ხეს, ფიჭვსა და სხ. ავედით ჰობარეთის ტყის თავზე და გადავხედეთ დასავლეთისაკენ ოთის ტყეს და აღმოსავლეთისაკენ ჰობარეთის ტყეს; ჩემმა თანამგზავრებმა დამანახვეს ერთი ვიწრო ბილიკი და მითხრეს: ბატონო, ამ გზით უნდა ჩავიაროთ და ჩავიდეთ ხევში, საყდარიც ხევში არისო. მეც ჩამოვხედ ცხენიდამ და დავჰყევ ამ ბილიკსა. ნახევარ ვერსი არც-კი ჩაგვეარა, რომ დამანახვეს ერთი წითელი ქვით ნაშენი ციხე სახელად ვარაზის ციხე. ჩემის აზრით, სამის ან ოთხის ვერსის სიშორეზე იქნებოდა; ძალიან ლამაზი სანახავი იყო შორიდამაც-კი, მაგრამ დრო აღარ იყო და გზებიც ძალიან ცუდი სასიარულო გახლდათ, თორემ ისიც უნდა მენახა. ამ ბილიკმა ხუთი თუ ექვსი ვერსი ქვეით ჩამიყვანა. ბოლოს ჩავედი ერთს სასიამოვნო ხეობაში, სადაც ჩემს თვალს წინ დაიხატა ტაიჭა. ამ ადგილს ოთხივ-კუთხივ მაღალი მთეები არტყია, რომლებიც სხვა-და-სხვა ხეებით არიან შემკულნი. ტაიჭაში ბლომად არის მოცხარისა და ქოლოს ბუჩქები; ხუთი ან ექვსი დღიური სახნავი იქნება ტაიჭას ვაკე, სადაც მდებარეობს ტაძარი. როგორც გაგონილიცა მქონდა ამ ტაძრის ქება, მართლა საქებარი და ძვირფასი ყოფილა.

ტაიჭას ტაძარი გახლავთ ორ-სართულიანი—ზევიდამ სამი ეკკლესიით, ერთი დიდი და ორიც წვრილი; დიდი ეკკლესია სიგრძით ოცი ადლი იქნება, სიგანით თორმეტი ადლი, წვრილი ეკკლესიები-კი ექვს ადლზე მეტი არ იქნება. დიდი ტაძარი ჯვარედინათ არის აშენებული, აქვს ორივ მხრივ საქრისტიები, ესე იგი მღვდლისა და მთავრის შესამოსი ადგილები. ამათი კარებიც საკურთხეველში გამოდის, საკურთხეველს ზემოდამ არის მხატვრობა წმინდა სამებისა. მართალია მხატვრობას სალებავი გადასვლია, მაგრამ ადგილ-ადგილ მაინც კიდევ ეტყობა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზედ ყოფილა მომცრო ტრაპეზები. ამ ეკკლესიების შენობები მთლად გათლილი და წითელი ქვით არის აშენებული, შიგნიდამ თუ გარედამ; თაღი ქვითკირით არის შელესილი, მაგრამ როგორც ეტყობა, შიგნიდამ თვლებით ყოფილა შემკული ერთიანად (რასაკვირველია, უბრალო თვლები იქნებოდა), რადგანაც ის ადგილები ნაყვავილევივით აჩნია ზედ. იატაკზედ დაგებულია აგური, აგურზედ გადაკრულია ფირუზის მინაქარი, რომელიც დღესაც ზოგი მთლად შეჰრჩენია. აქვს კარგად მოწყობილი, შვიდ სვეტზე აშენებული სამრეკლო ჩუქურთმიან ქვებითა. ამ ჟამად სამრეკლოს ოთხი სვეტი ჩამოვარნილი აქვს და სამს სვეტზე-ღა სდგას. ეკკლესიების თაღები სამთავესი ისევ მთლად არის შენახული, მხოლოდ ზემოდამ ამოსულია ორი კაცრის ხე. ეკკლესიების ქვემოდ გახლავთ საზვრო ოთახები თორმეტამდე და კარები ერთმანეთშია გაყვანილი; ამ ოთახებში ერთი უფრო დიდია. უთუოდ საერთო დარბაზი უნდა იყოს; ოთახები საკმარისად მაღლები ყოფილა, სუფთა და კარგი ნაშენი, მაგრამ რადგანაც ხევის პირში სდგას ტაძარი, ოთახები ეხლა ნიაღვარს ავუმსია მიწით, ასე რომ ოთახებში ძნელად გაიმართება კაცი. წარწერა არაფერი არ უჩანს. ჩემის აზრით, შეიძლება დერეფნის სვეტებზე იყოს დაწერილი, რადგანაც ეს სვეტები ძალიან ხელოვნურად არის გაკეთებული და ცოტად-ღა არის დარჩენილი, სულ მიწას დაუფარია.

ეკკლესიის კარების წინ ნათალი ქვით ამოშენებული რაღაცაა, იგი მეტად ჰგავს საფლავს; საფლავს წარწერა-კი არაფერი არა აქვს.

გარდა ამისა ხეობაში არის რამდენიმე ნასახლარი, ოთახებიც-კი ეტყობა დღემდის. დასავლეთისკენ, მაღლა მთის წვერზედ, აგებულია გვარიანად მოზდილი კოშკი. ტაიჭას არსაიდამ არა აქვს ურმის გზა გარდა წვრილი ბილიკებისა. ტაიჭადამ ოთის სოფლამდე რვა ვერსი იქნება, როგორც სჩანს, ეს შენოპები ფარულად უნდა იყოს გაკეთებული ძველს დროს. აქ მცხოვრებნი უსათუოდ მტრისაგან იფარავდნენ თავს და ბერებიც სცხოვრებდნენ. სოფ. ოთა, ამისივე უზარმაზარი ტყეები, ტაიჭა და სხვა ესენი ეკუთვნის ახალციხის მცხოვრებელთ მებატონებს, ესე იგი ფეიზულაბეგს, ვართანოვსა და მუთაფოვს. აქ მოიპოვება კიდევ მრავალი სხვა ნასოფლარები, რომელიც თითქმის ერთს მომცრო მაზრას შეადგენენ, აი ამ ზოგიერთის სოფლების სახელებიც მოგახსენოთ: ბეთლემი, მარიამ-წმიდა, გიორგი წმიდა, ღართახევი, გუგულის-ციხე, რომელსაც თათრები გოლგოლის ციხეს ეძახიან, ინტორა და სხვანი.

ჩემის აზრით საჭიროა ამ ადგილების, ნასოფლარების, ციხეების და ეკკლესიების დხვლა და აღწერა ისტორიის მცოდნე პირთაგან.

ბლ. მღ. მიხეილ ვარძელაშვილი.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 იანვარი.

**პეტერბურგი.** 23 იანვარს პეტერბურგში ჩამოვა ფელდ-მარშალი კურკო.

„ს.-პეტერბურგ. ვედომ.“-ში დასტამბულილია შემდეგი დეპეშა ტფილისიდან: „შიითისა და სუნითის სასულიერო წოდების უფროსნი, შეიხ-ულ-ისლამი და მუფტნი, მიწვეულ იქმნენ მოსკოვს გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად. მაჰმადიანთა სიხარულს საზღვარი არა აქვს“.

**პარისი.** პაპმ ხელმეორედ უარჰყო ეპისკოპოსებათ დანიშვნა იმ პირთა, რომელთ დანიშვნა საფრანგეთის მთავრობამ ურჩია. ამბობენ, პარისიდან გაწვეულ იქნება პაპის წარმომადგენელიო.

**ვენა.** პრინცის ბორისის მართლმადიდებლად მონათვლა გადაწყვეტილია: სამხედრო მინისტრმა განუცხადა პრინცს ფერდინანდს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მხედრობათა შორის უწესოება მოხდესო. „კელნის გაზეთი“ ამბობს, რომ პრინც ფერდინანდის მეუღლეს გარდაუწყვეტია დასტოვოს ქმარი და თავისს მშობლებთან წავიდეს.

**ლონდონი.** ცნობა მოვიდა, რომ შეიარაღებული კაფრები და ინგლისელები შეესიენ სამხრეთ აფრიკის გერმანიის ტერრიტორიას და განიზრახეს მკვიდრთა უფროსების აჯანყება გერმანიის წინააღმდეგ. შემოსეული ბრბო დატყვევებულ იქმნა. იარაღი ჩამოართვეს.

---

## „ივერიის“ ფოსტა

**ტფილისი**, სვ—ს. „საპოლემიკო“ არ დაიბეჭდება.

**იძვე**, მ—ს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**საგარეჯო**, ა—ს „14 იანვარი“ არ დაიბეჭდება.

---


# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

ალა-მაჰმად-ხანის

შემოსევა ქ. ტფილისში.

თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება ამხანაგობის სკიოკში.


Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Января 1896 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.